ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 37241734**
თარიღი:**21/06/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 21 ივნისს განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ ამჟამად მოქმედმა, ანალოგიური შინაარსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 აპრილის დადგენილებამ აქტუალურობა დაკარგა, რადგან მასში ასახული(საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი სფეროს მინისტრის) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალადაკარგულია და გამოცემულია ახალი სამართლებრივი აქტები. ამასთან ერთად 2022 წლის მაისიდან გარე რეკლამის რეგულირების მიზნით აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს ა.ა.ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია“

პროექტზე დასრულდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები შემოსული არ არის.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიმსჯელა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი